



ევრაზიის  
თანამშრომლობის  
ფონდი

## საზოგადოებრივი ორგანიზაციების პლატფორმის „თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის“ შეხვედრა

ოქმი #2

16 აპრილი, 2015 წ.

ქ. თბილისი

15 აპრილს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ოფისში გაიმართა საზოგადოებრივი ორგანიზაციების პლატფორმის „თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის“ მმართველი კომიტეტის წევრთა მეორე შეხვედრა.

შეხვედრის მონაწილეები (ანბანური თანმიმდევრობით):

- ვიქტორ ბარამია - ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
- ამირან გიგინეიშვილი - საქართველოს სასოფლო დარბაზი
- ნატა კაკაბაძე - რეგიონის განვითარების ცენტრი
- ნინო ლოლაძე - რეგიონის განვითარების ცენტრი
- სულხან სალაძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- მადონა შილდელაშვილი - ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
- გიორგი ციმინტია - საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
- თამარ ჯულელი - პი ემ სი კვლევითი ცენტრი

შეხვედრას ვერ დაესწრო ნინო ევგენიძე (ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი).

პლატფორმის მმართველი კომიტეტის წევრთა რიგით მეორე შეხვედრა ვიქტორ ბარამიამ გახსნა, რომელმაც მონაწილეებს დღის წესრიგი გააცნო. კომიტეტის წევრებს განსახილველად წარედგინათ პირველ შეხვედრაზე გამოთქმული შენიშვნების შესაბამისად ჩასწორებული წესდება, რომელიც

უცვლელად იქნა გაზიარებული და მიღებული, როგორც პლატფორმის წევრებისთვის სახელმძღვანელო დოკუმენტი. თუმცა აქვე ითქვა, რომ წესდება არათორმალურ ხასიათს ატარებს და კომიტეტის წევრების ინიციატივის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მასში ცვლილებების შეტანა. შეხვედრის მონაწილეები ასევე შეთანხმდნენ, რომ, წესდების თანახმად, პლატფორმის სამდივნოს ფუნქციებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი შეითავსებს და, შესაბამისად, მისი საქმიანობის ორგანიზაციულ მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს.

შეხვედრის მიმდინარეობისას ხაზგასმით აღინიშნა იმის აუცილებლობა, რომ მმართველმა კომიტეტმა უახლოეს კვირებში იმსჯელოს და შეთანხმდეს, ერთი მხრივ, თუ რა პრობლემური სფეროები არსებობს საჯარო ფინანსების მართვისა და ბიუჯეტის გამჭვირვალობის კუთხით, და მეორე მხრივ, კონკრეტულად რა საკითხებზე უნდა გაამახვილოს პლატფორმამ ყურადღება, რათა გამოვლენილ პრიორიტეტულ სფეროებზე სამოქალაქო მონიტორინგის განხორციელების მექანიზმი უფრო მეტად ეფექტიანი და მდგრადი გახდეს. აღნიშნულ საკითხებზე მიზანმიმართული მუშაობის შედეგად იგეგმება გარკვეული სახის ანალიტიკური მასალის შექმნა და პლატფორმის სახელით ფართო საზოგადოებისთვის წარდგენა. აღინიშნა ისიც, რომ პრიორიტეტული საკითხების იდენტიფიცირება მომავალში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან შემდგარი საკოორდინაციო საბჭოს კონსტრუქციულ მუშაობას.

მმართველი კომიტეტის წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია პროექტის „თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის“ მიმდინარეობის შესახებ, რომლის ფარგლებშიც 40-მდე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენელმა გაიარა ტრენინგი საჯარო პოლიტიკისა და სახელმწიფო სახსრების მართვის მონიტორინგის მექანიზმების საკითხებზე, და გამოცხადდა საგრანტო კონკურსი საჯარო ფინანსების მართვისა და საბიუჯეტო სახსრების მონიტორინგის განსახორციელებლად.

შეხვედრის მეორე ნაწილში, წესდებით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, ფარული კენჭისყრით მოხდა პლატფორმის თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის არჩევა. კომიტეტის წევრებისთვის პლატფორმის თავმჯდომარის უფლებამოსილებების შესწავლის შემდეგ მონაწილეებს დაურიგდათ საარჩევნო ბიულეტენები, სადაც პლატფორმის შვიდივე წევრი ორგანიზაცია იყო მითითებული. კომიტეტის წევრ ორგანიზაციათა თითო წარმომადგენლის მიერ შევსებული ბიულეტენები მოთავსდა იმავე ოთახში მდებარე საარჩევნო ყუთში.

ხმების დათვლის პროცესი ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის წარმომადგენლის მიერ, კომიტეტის ერთ-ერთი წევრის დაკვირვებით ქვეშ წარიმართა. შედეგად გამოვლინდა, რომ პლატფორმის თავმჯდომარის პოზიციაზე ხმათა უმრავლესობა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა დააგროვა. ანალოგიური პროცედურების დაცვით ჩატარებულ თავმჯდომარის მოადგილის არჩევნებში კი ხმათა უმრავლესობა მოიპოვა საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ.

პლატფორმის მმართველი კომიტეტის წევრთა მომდევნო შეხვედრა, სავარაუდოდ, ივნისში გაიმართება.